

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

1 ოქტომბერი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ბარნოვის 75

**სხდომის დაწყების დრო: 19:00სთ.**

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**

გოჩა სვანიძე (სხდომის თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული.

**დღის წესრიგი:**

1. პრეზენტაციის შესახებ;
2. 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების ბათილობის შესახებ;
3. აუდიტის დასკვნის შესახებ;
4. სხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

**სხდომამ მოისმინა:**

მოსაზრებები საქმიანობის მიმართულებების პრეზენტაციის შესახებ. აღნიშნული საკითხი გადაიდო შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით

**სხდომამ მოისმინა:**

საბჭოს იმ წევრთა მოსაზრებები, რომლებიც ესწრებოდნენ აღმასრულებელი საბჭოს 2008 წლის 27 ივნისის სხდომას.

**ზურა ტაბიძე** – მე დაუჭირე მხარი ოფისის შექმნას, მაგრამ რეალურად კენჭისყრა არ შემდგარა. სხდომის მსვლელობისას გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებები. ოფისის შექმნის მომხრე ვიყავით მე და კახა. რუსუდან პიტავა, დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული იყვნენ წინააღმდეგი, ხოლო დავით ასათიანმა თავი შეიკავა. კენჭისყრა რომც ჩატარებულიყო, ეს არ იქნებოდა გადაწყვეტილება თანხმობის შესახებ.

**დავით ლანჩავა** – თუ გადაწყდებოდა ყიდვა, უნდა უნდა ყოფილიყო საუკეთესო. ოფისის განთავსება არ შეიძლებოდა ჩვეულებრივ ბინაში, სადაც ხალხი ცხოვრობს.

**როინ მიგრიაული** – უკეთესი იქნებოდა თუ ეს თანხა მოხმარდებოდა ადვოკატთა ასოციაციის განვითარებას.

**გოჩა სვანიძე** – ეს საკითხი უნდა გავიტანოთ საერთო კრებაზე.

**აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:**

ოფისის შექმნის საკითხი შეტანილ იქნება საერთო კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში.

**დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით**

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ცნობად მიიღეს აუდიტორული დასკვნის არსებობა.

დაევალა ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ გოჩა სვანიძეს აღნიშნული დასკვნის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა და ადვოკატთა ასოციაციის საიტზე განთავსების უზრუნველყოფა.

**დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთერთ მიმდინარე საკითხად**

საბჭომ განიხილა იმ პირთა გაწევრიანების საკითხი, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის გამოცდა ვიწრო სპეციალიზაციით ან პროკურატურის ტესტირება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

**აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:**

იმ პირებს, რომელთაც გავლილი აქვთ ტესტირება პროკურატურის მუშაკთათვის ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ გაწევრიანდებიან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ხოლო ის პირები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის გამოცდა ვიწრო სპეციალიზაციით, ასოციაციაში გაწევრიანდებიან იმ სპეციალიზაციით, რომლის შესაბამისი სერტიფიკატიც აქვთ აღებული.

*გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად*

**დღის წესრიგით გათვალისწინებულ მორიგ მიმდინარე საკითხად**

აღმასრულებელმა საბჭომ შეიტანა ცვლილება საშტატო განრიგში, კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ხელფასი განისაზღვრა 1 333 ლარით.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გოჩა სვანიძე  
(სხდომის თავმჯდომარე)

ზვიად კორძაძე

დავით ლანჩავს

როინ მიგრიაული

